სამშობლო

კვირა
29 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. — განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ., 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 235 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 235

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ს ა მ შ ო ბ ლ ო“
—— ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით ——

ფ ა ს ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის ნებართვით და ლოცვაკურთხევით,
კვირას, 29 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის თეატრში
გაიმართება პირველად ქუთაისში
დიდი ქართული სასულიერო მხატვრული საგალობელთა
საღამო-კონცერტი

კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.
შესრულებული იქნება: ძველი საეკლესიო საგალობელნი, პეტროგრადში გამართულ სასულიერო კონცერტის საუკეთესო ნომრები და სხვადასხვა რჩეული სამუსიკო ნაწარმოები.
საკონცერტო გუნდი შესდგება 200 ქალვაჟისაგან.
ბილეთები სადღეისოთ იყიდება თეატრის კასაში. 7—7
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ცალკე აფიშები არ იქნება გაკრული.

ოთხშაბათს, 2 დეკემბერს, დ. ზესტაფონში წმ. მოწამენის დივით და კონსტანტინეს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი
დაუვიწყარის და საყვარელის მეუღლის
მართა ეგნატეს ასულის ჩუბინიძის
სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე გედევან ზურაბის ძე ჩუბინიძე, შვილი მართა გედევანის ასული გველესიანისა შვილებითურთ და ძმის წულები მისი აღზრდილნი ნიკოლოზ და ონიფანტე მერძაყანის ძენი ჩუბინიძეები შვილებით. წირვა დაიწყება 10 საათზე თავიანთ აშენებულ ეკლესიაში, სადაც დაკრძალულია განსვენებული. 1—1

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ
ჩემი საგალანტერეინო საქონლის ვაჭრობა
(მაღაზია), რომელიც იმყოფებოდა ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცანეზოვების შენობაში, 20 ნოემბრიდან
გადავიტანე იმავე ვორონცოვის ქუჩაზე, ძმათა ოცხელების შენობაში, რომელშიც წინეთ ვაჭრობდა გ. გ. ეფრემიძე; იმედი მაქვს, პატივცემული საზოგადოება მომართავს ჩემს ახალ სავაჭროში.
14—3—6042 პატივისცემით ილ. ტარ. მოწონელიძე.

ქ. ქუთაისში
1 ნოემბრიდან, თბილისის ქ., მ. კვინიხიძის ქალთა პროგიმნაზიის სადგომში
გაიხსნა როიალზე სწავლების კლასი.
სწავლა სწარმოებს კონსერვატორიის პროგრამით, კვირაში სამჯერ. სწავლის ფასი დაწესებულია კვირეულ სამ გაკვეთილზე თვეში ხუთი მანეთი, რომელიც წინდაწინ უნდა გადახდილ იქნეს. ქალ. თეატრში შემდეგ გაიმართება მოწაფეთა საღამო. ჩაწერა და მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე 8—2 საათ. და 4—6 საათამდი იქვე. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება დაზღვევა სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქუჩის კუთხე, სახ. № 3. თ.

ექიმი ი. ჩარექიშვილი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის ექიმი
მ. მზელაძე—გალიცკისა
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—6 საათამდი. მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი გ. დ. ნახარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. დადეშქელიანის სახლი. თვ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

კბილის ექიმი რ. პ. სვანაძის ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვეცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფიანიძისსახლი. თ

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
ხუთშაბათიდან, 26 ნოემბრიდან ახალი პროგრამა.
შუა უდევს დიდი ზღვარი.
ძლიერი დრამა 4 ნაწილათ, ცნობილ მსახიობის ნავარის მონაწილეობით.
პრენს დამბლა დაეცა. კომიკური სურათი პრენსის მონაწილეობით.
ანონსი: ორშაბათიდან, 30 ნოემბრიდან ნაჩვენები იქნება მხატვრული დრამა მხოლოდ მოზრდილთათვის
ეკატერინე ივანეს ასული. კინო პიესა 6 ნაწილათ, ლეონიდ ანდრეევისა
უმთავრეს როლებში მონაწილეობენ მოსკოველი გამოჩენილი არტისტები: მ. ნ. გერმანოვისა, მ. ა. დუროსოვისა, ნ. ნ. ბერსენევი, ს. ნ. ვორონოვი, ნ. ო. მასალიტინოვი, ნ. რ. ნიკოლსკი და სხვები.

მოქალაქენო!
ოთხშაბათიდან, 25 ნოემბერიდან, დაიწყო მოქმედება
კოოპერატიული ფურნე.
სიძვირისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საუკეთესო საშუალებაა—თვით მომხმარებელთა ორგანიზაცია. ჩაეწერეთ წევრებათ საზოგადოებაში, გახდით მისი მუდმივი მომხმარებელი და მით უზრუნველყავით თქვენთვის ფრიად სასარგებლო დაწესებულების არსებობა. არ დაივიწყოთ რომ ძალა ერთობაშია, გახსოვდეთ რომ სადი პური უსაჭიროესი მოთხოვნილებაა ადამიანისთვის.
პური გაიყიდება: ა) მწვანე ბაზარში—საზოგადოების კიოსკში, და, ბ) თვით ფურნეში—გენერალის ქუჩა, ექიმ შენგელიას სახლში. იქვე შეიძლება წევრათ ჩაწერა.
ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“.

ბებია მ. მ. კოხრეიძე
უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. რიგის ყურეს მიდამოების ზოგიერთ ადგილას რუსები მარჯვედ ესროდნენ ზარბაზნებს და მოპირდაპირის ზარბაზნები ჩააჩუმეს. იკსკიულის სამხრეთით გერმანელებმა რუსების სანგრებისაკენ მოზიდული ჰაერი მიმართეს. დვინის მიდამოებში გერმანელებმა რამდენჯერმე სცადეს სანგრებიდან გამოსვლა, მაგრამ რუსებმა თოფის სროლით უკანვე გაბრუნეს. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ასპარეზზე. ცვლილება არ მომხდარა.

ომის ამბები.
(ჟურნალ გაზეთებიდან)

საბერძნეთი.

ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებისაგან ხელახლათ მიღებულმა ზომებმა საბერძნეთის ვაჭრობის შესავიწროებლათ საბერძნეთის მსხვილ კომერსანტებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

საბერძნეთის კაბინეტში ცხარე კამათია. მინისტრების ერთი ნაწილი სკულუდისის მეთაურობით ოთხთა შეთანხმების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მომხრეა; მეორე ნაწილი, მათ რიცხვში გუნარისი, აშკარა საზინააღმდეგო პოზიციაზე სდგას.

საბერძნეთის სამხედრო მთავრობა ცდილობს ხელიდან არ გაუშვას სახელმძღვანელო პოზიციები სალონიკთან და კერძოთ ქარაბურუნის ქიმთან, რომელიც ბატონობს ნავსადგურის შესავალ.

საბერძნეთის მთავრობასა და მთავარ შტაბს შორის უთანხმოება დაიბადა ოსმალეთიდან გამოქცეულ პირების საბერძნეთის ჯარში ჩარიცხვის შესახებ. მთავრობას ეშინია, რომ ოსმალ ქვეშევრდომების საბერძნეთის ჯარში ჩარი-

ცხვით, ოსმალები მათ ოჯახებს აწიოკებენ და ქონებას ჩამოართმევენ. ეს საკითხი დიდათ აღელვებს საბერძნეთის საზოგადოებას.

ბულგარეთი.

„ჟურნალ დებალკანს"-ი ასე აგვიწერს ბულგარეთის მდგომარეობას: ქალაქის ქუჩებში მოძრაობა მთლად შეჩერებულია საღამოს 8 საათზე ყველა დაწესებულება იკეტება და ამას შემდეგ ქუჩებში ვღარას შეხვდებით. საზღვრების ყველა პუნქტზე სდგანან პოლიციის აგენტები, რომელთაც გერმანელი აფიცრები უფროსობენ. აგენტები ენერგიულად ჩხრეკენ ბარგსა და პასპორტებს მგზავრებს და წვრილებით ეკითხებიან რისთვის მიდის ბულგარეთში, ან სით უნდა დასახლდენ.

მცხოვრებლები გერმანელებს უკმაყოფილოთ უყურებენ, თუმცა ამ უკმაყოფილებას გულში იკლავენ და ხმა მაღლა არ ამჟღავნებენ, რადგანაც ეშინიათ დასჯისა.

გერმანეთი.

სოციალისტურ ფრაქციაში მომხდარი უთანხმოება კვლავ გრძელდება. ფრაქციის მემარჯვენეთა უმეტესობამ გადასწყვიტა არ გამოუშვან უმცირესობის ორატორები შეკითხვებით.

ფრაქციის უმცირესობა კი როგორც ხმებია, ცდილობს რეიხსტაგის ტრიბუნიდან გამოთქმულ იყოს სურვილი, რომ რომელიმე ნეიტრალურმა სახელმწიფომ თავს იდვას ზავის ჩამოსაგდებათ შუამდგომლობა იმ პირობით, რომ ორივე მებრძოლ სახელმწიფოებთა ჯგუფმა უარყოს ყოველგვარი ანექსია. ფრაქციის უმრავლესობა გადაჭრით უარყოფს ასეთ შეკითხვას და აღნიშნავს, რომ ასეთი შეკითხვით გამოსვლამ შეიძლება დიდათ ავნოს პარტიის პარლამენტრულ წარმომადგენლობას და ამას კი ცუდი გავლენა ექნება გერმანეთის საერთო მდგომარეობაზეო.

სოციალისტების მემარჯვენე ორგანოები ირწმუნებიან, კანცლერმა ფრაქციის წარმომადგენლებთან საუბრის დროს დაგვიმტკიცა, რომ იგი სრულებით მომხრე არაა ომის განგრძობისა, მხოლოდ მთავრობამ უნდა შეეცადოს ზავის ჩამოსაგდებათ იმ დრომდი, ვიდრე ბრძოლის შედეგები საბოლოოთ გამორკვეული არ იქნებაო.

„სავაჭრო გზა ბალკანეთით აღმოსავლეთისკენ ჩვენთვის თავისუფალი უნდა დარჩეს, სწერს „ფრანკ ვოლსტიმე". ვის შეუძლია ჯერ სთქვას, ვიდრე აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლა არ გადაწყვეტილა, რომ ეს გზა თავისუფალი დარჩება? გარდა ამისა, ყველას, ჩვენ გვსურს დასუსტება რუსეთისა, რომლის ზედავლენითაც ბალკანეთში ძლიერია და საშიში გერმანეთისათვის. ახლა ჩვენაც კი შეგვიძლია აღვნიშნოთ ის, თუ რა გზით გვსურს რუსეთის დასუსტება".

გერმანელი გაზეთები ფრაქციაში მომხდარ უთანხმოების გამო კითხულობენ: როგორ მოიქცევა ფრაქციის უმცირესობა? ფრაქციის მემარჯვენენი სასტიკათ მოითხოვენ, უმცირესობის დამორჩილებას.

ლიბერალური პრესის აზრით, ფრაქციის უმცირესობა რეიხსტაგში დამოუკიდებლათ გამოვა.

„ბირჟ. ვედ." ატყობინებენ, რომ რიგის ყურის მთელ კურლიანდიის სანაპიროებზე გერმანელებმა საზღვაო პუნქტები მოიწყვეს და ძლიერი სიმაგრეები ააგეს.

ამსტერდამიდან იტყობინებიან, რომ კაიზერს განზრახვა აქვს 15 დეკემბერს ბელგიაში ჩავიდეს და დასავლეთის ფრონტზე ჯარი დაათვალიეროს.

სოლუნიდან მოსული ცნობით, ბულგარეთის ჯარის მიერ მონასტირის დაკავების გამო, საფრანგეთის ჯარს თავისი ფრონტის ხაზი უნდა გაესწორებია.

„ტემპს"-მა ჟენევიდან დეპეში მიიღო, რომ შავმთიელებმა ქ. დიაკოვო დასტოვეს. ქალაქი ალბანელებმა დაიკავეს. ალბანელების ყოფაქცევა ამ ბოლო დროს დიდ აღელვებას იწვევს.

„მატენს" საეჭვოთ არ მიაჩნია, რომ გერმანეთსა და საბერძნეთს შორის მოხდა შეთანხმება, რომელიც შეეხება ინგლის-საფრანგეთის ჯარის ყოფნას საბერძნეთის ტერიტორიაზე.

დანიაში ცნობა მიიღეს, რომ გერმანეთის მთავრობამ ნება მისცა რეიხსტაგს 9 დეკემბრის სხდომაზე ზავის პირობების შესახებ იმსჯელონ.

შანსის რევოლუციონერები შეეცადენ მოულოდნელათ თავს დასხმოდენ შანხაის თოფხანას, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. საარტილერიო ცეცხლი გრძელდება.

„დეილი ნეუს" ცნობით, ავსტრო-უნგრეთის ზოგიერთ ქალაქში გერმანელების საწინააღმდეგოთ სერიოზული დემონსტრაციები გაიმართა. დემონსტრანტების დასაშლელათ ჯარისა და პოლიციელების ჩარევა გახდა საჭირო.

ამავე გაზეთს რომიდან ატყობინებენ, იმპერატორი ფრანც-იოსები წინააღმდეგია, რომ ავსტრო-უნგრეთის ჯარმა ეგვიპტის საწინააღმდეგო ექსპედიციაში მონაწილეობა მიიღოს და ის მოსაზრება მოყავს, რომ უკანასკნელმა სერბიაში გასალაშქრებლათ უფრო დიდი მსხვერპლი გაიღო, ვიდრე გერმანიამ. ფრანც-იოსები დაბეჯითებით მოითხოვს, რომ გერმანეთმა მაშველი ჯარი გაგზავნოს იტალიის ფრონტზე.

დავიწყებული მხარე.

წერილი ზემო სვანეთიდან.

დღეს, მიუხედავათ მიმართულებისა, მდგომარეობისა, და შეძლება—შეგნებისა; ერთის სიტყვით რომ იტყვიან ბრუნდი და მართალიო, ყველა გარჯობის: უშველოთ მშიერ-მწყურვალთ, უგზო-უკვლოთ, დაზარალებულთ, გაქცეულ-გამოქცეულთ და გაჭირვებულთ ჩვენსას თუ სხვისას. არსდება ცენტრებში და პროვინციებში საქველმოქმედო საზოგადოებანი, კომიტეტები, კომისიები და წრეები; ჯგუფ-ჯგუფს ეკიდება, წრე-წრესა და მიმართულება-მიმართულებას, რომ შეძლებისაგვარი და თანამედროვე წყობილებაში მოსახერხებელი დახმარება აღმოუჩინოს ამა და სხვა კუთხის გაჭირვებას. მზრუნველთა პროგრამაში შედის ქართლ-კახეთი, გურია-სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა, ძველი მესხეთი, ებრაელნი, სომეხნი და მაჰმადიანნი;... ხოლო არსაიდან ხმა, არსით ძახილი შესახებ **ზემო სვანეთისა**; თითქოს „არსად იყოს მსგავსი ერი, სვანეთისებრ ბედნიერი!" .. და თითქოს სვანეთი არ იყოს გეოგრაფიულად, ისტორიულად და ეროვნულად ქართველთა სულ-სულთანი და ხორც-ხორცთანი. მაშ, რა დააშავა ბედკრულმა სვანეთმა, რომ მისი შიმშილი—შიმშილად არ ითვლება, მისი უგზო—უკვლობას ყურადღებას არავინ აქცევს, მისი კარჩაკეტილობა არავის აწუხებს, მისი სწავლა-კულტურისათვის არავინ ზრუნავს და უსამართლობის მორევში მეურვის მდგომარეობას ანგარიშს არ უწევს არც თავისიანი და არცა გარეშე? უკეთუ ამა ქვეყნის მზრუნველნი და ქველმოქმედნი ჭეშმარიტად და გულწრფელად იზიარებენ ჩვენი ქვეყნის ყველა გაჭირვებულთა მდგომარეობას და სიტყვა—„სვანეთი" დახმარების რაღაც გამაქარწყლებელი ჯადო არ არის,—იმ შემთხვევაში, სწორე მოგახსენოთ თუ ვისმეს ეჭირვება ნივთიერი და ზნეობრივი დახმარება, ეს **ზემო სვანეთს** უმთავრესად. იმ შიმშილ სიკვდილისა და ცხოვრებისათვის აუცილებელ საგანთა სიძვირეს, რომელსაც მოუსავლიან წლებისა და საერთაშორისო ომისაგამო დღეს განიცდის სხვათა შორის ჩვენი ქვეყანაც, ამას **ზემო სვანეთი** ისედაც ყოველთვის სისტემატიურად განიცდიდა... და ზედ, რომ დაუმატოთ უფსკრულის კარამდე მისული თანამედროვე მდგომარეობა, შორიდანაც ადვილი წარმოსადგენია საშინელი სურათი **ზემო სვანეთისა**. ადგილის სივიწროვისა და სიწარისაგამო შიმშილი სვანეთის სპეციფიკური სენია, მაგრამ სვანეთისათვის სხვა დროს ეს ისე საგრძნობელი როდი იყო, ვინაიდან მეზობელი კუთხეები:—სამეგრელო, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი მაძღარი იყო და საროს შონა ამ კუთხეებში შეეძლო; ხოლო დღეს, ხსენებულ კუთხეთა დამშევისაგამო **ზემო სვანეთი** ცუდისაგან—ცუდ მდგომარეობაშია. ამას ზედ დაუმატოთ ისიც, რომ სვანს, როგორც ადამიანს სჭირია ტან-ფეხი, რკინა, მარილი, ნავთი და სხვა მრავალი პირველ მოთხოვნათა აუცილებელი საგნები, რომელთა სიძვირემაც საშიშრო ზომას მიაღწია... და აბა საიდან და როგორ შეუძლია ბედკრულ სვანს, ყველაფრის შოვნა—შეძენა? განა ვინ არის დღეს დაუხინებელი? მაგრამ არის გაჭირვება მძიმე და მძაფრი! ზემ სვანეთი რვა თვის განმავლობაში, ღრმა თოვლით შეფუთნილი კავკასიონის ბუმბერაზ მთებს შუა არის ჩამწყვდეული და 5—6 დღის სავალზე (ქვეითად) არც გზატკეცილი, არც რკინის გზა, არც ბაზარი და არც ფაბრიკა—ზავოდი არ ახლავს, რომ სამუშავარზე გავიდეს და ოჯახის აუცილებელი მოთხოვნანი შეავსოს. აქამდე სვანები ზამთრობით მიდიოდენ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებს, აჰრუნებდენ სავენახე მიწებს, აკეთებდენ თხრილებს, შენობებს, ყორეებს და სხვა, საიდანაც შოულობდენ ფულს და ამით უძლებდენ მძიმე გადასახადებს, ოჯახს და სხვა და სხვა. დღეს ცხოვრებამ ეს სალხარიც მოესპოთ სვანებს, ერთის მხრით იმიტომ, რომ დღეს მეურნეობისათვის არავისა ცხელა და სამუშავარს ვერ შოულობენ; ხოლო მეორეც, რაც მუშა ხელი და ყმაწვილი ახალგაზრდობა იყო სვანეთში ჯარშია გაწვეული.

ასეთია მოკლეთ **ზემო სვანეთის** აწინდელი ეკონომიური მდგომარეობა. და უკეთუ გულ-გულობს, ამ მცირე აღწერიდანაც შეიძლება სვანეთის უმწეო მდგომარეობის შეგნება.

ვაუწყებთ რა სვანეთის ასეთს მდგომარეობას საზოგადოებას, თანვე მოუწოდებთ ჩვენი ხალხის მოწინავე ჯგუფებს, ელემენტებს, გულშემატკივართ და მზრუნველთ, რომ ერთი [illegible] ნაშობლი სხეული [illegible] **ზემო სვანეთი**, ნუ იქნება მათ საზრუნავიდან ამოშლილი და მოვითხოვთ რომ სვანეთს დაუყონებლივ მიაქციონ ჯეროვანი და განსაკუთრებული ყურადღება, თორემ სირცხვილს გარდა გვიანღა იქნება ჩვეულებრივი სინანული და ოხვრანი.

ამ ჟამად სრულიადაც არ მაინტერესებს ის გარემოება, თუ ეს ჩემი წერილი რომელი მიმართულების გამოცემაში მოხვდება, ოღონდ მიაღწიოს კი თავის დანიშნულებას... მაგრამ დაბეჯითებით ვსთხოვთ ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რომ ეს წერილი გადაბეჭდონ თავიანთ პატივცემულ გამოცემებში, თან თავიანთი აზრი გამოთქვან სვანეთის დახმარების შესახებ და ამით საშუალება მისცენ **ზემო სვანეთს**, რომ ფართო მასსამ და საზოგადოებამ გაიგოს მისი უმწეო მდგომარეობა.

დასასრულ პატივცემულ მკითხველთ ვაუწყებთ იმასაც, რომ მარტო ზემოხსენებული მდგომარეობით როდი თავდება სვანეთის ცხოვრების ტრაგედია: მისმა ტრაგედიის მეორე აქტმა, ეგრედ წოდებულმა: „პოლიტიკურად ადმინისტრატიულმა", ადვილი შესაძლებელია, რომ ვითარცა აჭარა, **სრულიად უდანაშაულოდ და მიხდაუნებურად** ზემო სვანეთიც დამნაშავეს სკამზე დასვას... მაგრამ ამაზე დაწვრილებით შემდეგ.

ამასთანავე ვავალებთ თ-დ ლევ. დადეშქელიანს, დროებით დ. ლაილაში მცხოვრებს, რომ ვინაიდან მან სვანეთის ცხოვრების ყველა მხარეები ზედმიწევნითა და დაწვრილებით იცის, შემკითხველებს, რედაქციებს, ჯგუფებს, ფართო საზოგადოებასა და თვით სათანადო ადმინისტრაცია მთავრობასაც მათი მოთხოვნა-საჭიროების ჟამს მიაწოდოს ყოველგვარი ცნობანი და მიიღოს მონაწილეობა სვანეთის შესახებ ყველა დაწესებულებაში, კომისიაში, კამათში, შემოწირულების მიღებაში, განაწილებაში და სხვა და სხვა.

სვანთა მონდობილობით **ძველი სტუმარი**.

რეფორმა.

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებამ უკვე შეიმუშავა პროექტი ტეხნიკურ განათლების რეფორმის შესახებ. ეს პროექტი განხილულ იქნება ამ მოკლე ხანში და სამინისტროს მიერ გადაცემულ იქნება სათათბიროს სხდომაზე განსახილველათ. განმარტები-

ალბომისთვის.

I

არის თქმულება, რომ წინად ძველად
ლამაზად, ტკბილად და მომხიბვლელად
სირინოზები ჰგალობდნენ ზღვაში
მეზღვაურების მოსათვლელად.
ვინც მათ გალობას გაიგონებდა
ზღვა ექცეოდა იმას საფლავად.
შენ თუმც არ ჰგალობ, მაგრამ განგებამ
მოგცა თვალები ლურჯი და მწველი,
მე, მეზღვაურის სწრაფვადა ვშიშობ
არ განმეორდეს თქმულება ძველი.
სული სასწაულს დაეძებს ქვეყნად,
სული ზეცისკენ ფრენას აპირებს,
მაგრამ იქნებ ის ვეღარ მოშორდეს
ლურჯი თვალების ძვირფასს ნაპირებს
და, დაე გამართლდეს ეს წინადგრძნობა
და დამიმონონ ოჰ გევედრები!
შხამს ნუ შემასმევ, გულს ნუ დამფერფლავ
შენც სირინოზებს ნუ დაედრები.

II

მზე ჩადიოდა სთვლემდნენ სოფლები
სთვლემდა ტბის მკერდიც მშვიდათ, და წყნარად
დუმილის ღმერთსა ჰმონებდნენ მთანი
დუმილის ღმერთი მეფობდა ბარად.
მაგრამ დაჰბერა სიცოცხლის სიომ
სათუთი ფრთებით შეეხო ტბასა,
ალაპარაკდა ფოთოლთ კრებული
უცნაურ ხმაზე მოჰყვა ხოტბასა.
პოეტის სულშიც დაისადგურებს
დუმილის ღმერთი ასე ხანგრძლივად
და განცდა მისი აღარ იფრქვევა,
ლექსების კონად, რითმების მძივად,
მაგრამ, როდესაც ზეშთაგონება
ჩამოჰკრავს მის სულს ნაზ, სათუთ წკირას,
მაშინ იგი ჰქმნის მთელი არსებით
თუმც ბევრჯერ თვითონაც არ იცის კი რას.

გ. მეგრელიშვილი.

უდედაკაცო სოფელი.

(ამბავი ინგილოთა ცხოვრებიდან).

სოფელ თაზას გომგაზედ*) არაჩვეულებრივი მოძრაობაა, ყველა ხნიერი კაცი სოფლისა იქ არის, ყველას რაღაც არაჩვეულებრივი გამომეტყველება და მზრუნველობა ეტყობა სახეზედ. ეს არც საკვირველია. დღეს გადასაწყვეტი აქვთ დიდი საჭირბოროტო საკითხი, რომელმაც კარგა ხანია წამოჰყო თავი, დიდ ბუმბერაზ მდევად გაიზარდა და მთელს სოფელს ჩანთქმა-წალეკვას უპირებდა. რაღაც უჩინარის მანქანებით სოფელში თანდათან ქალთა რიცხვი მცირდებოდა, კლებულობდა და უჩინრად ჰქრებოდა. დღეს უკვე ბევრი ოჯახი იყო სოფელში, რომელშიც დედაკაცის ხსენება აღარ იყო. უდედაკაცო ოჯახი კი, მოგეხსენებათ, დაღუპულია და გლეხებს უიმისოდ გაძლება შეუძლებელია და წარმოუდგენელი. მაშ თუ დედაკაცმა არა, ვინ უნდა გამოაცხოს ოჯახში პური, ვინ უნდა დაურეცხოს, შეუკეროს, მოუაროს ბოსტნეულობას, შინაურ ფრინველებს და სხვა და სხვა. ან ვინ უნდა უპატრონოს და შეინახოს სახლში მოტანილი გლეხკაცის ნაამაგარი? დედაკაცი გლეხისათვის დიდი საგანძურია და უიმისოდ მისი ოჯახი დაღუპულია და ამოვარდნის გზაზედ დამდგარი. ამიტომ არის, რომ ეს საკითხი საჭირბოროტო საკითხად გადაიქცეოდა სოფელს, დიდი ხანია ბოროტი სულსავით თავს დასხმოდა და მოვლა-პატრონობას თხოულობდა. სოფელი დღითი დღე უარესობაში მიდიოდა და გასაქანი არსაითა ჰქონდა. აი საწყალი არზუმანა, მთელი ოთხი წელიწადია ტანჯება, ოთხი წლიწადია, რაც ცოლი მოუკვდა, სამი წვრილი შვილი დარჩა და მას შემდეგ მის სახლში კერა გაცივდა. პურის მცხობი რა არის ისიც კი ვერსად უშოვნია! პურს გამომცხვარს ჰყიდულობს ორის ვერსის სიშორეზედ ბაზარში, იმ დროს, როცა თითონ ხორბლეულობს ჰყიდის სხვებზედ. გაჭირვებაშია არზუმანა, არავინ არის მისი ოჯახის პატრონი, გასწყდა დუნიაზედ მისთვის დედაკაცი. მისსავე ტაფაში იწვიან მრავალნი მისი სოფლელნი. რა ჰქნან, რა იღონონ? აი ამისათვის შეკრებილა დღეს სოფელი მიმგაზედ, უნდა რამე საშუალება გამონახონ, ან აქეთ ეცენ, ან იქით, თორემ თუ ისე წავიდა საქმე მთელი სოფელი ამოვარდება და ამოწყდება.

გრძელს სკამზედ ჩამომსხდარან მოხუცნი, რომელთა შორისაც მხოლოდ გამოიცქირება მარად უზრუნველი მამასახლისი ჯამალა, ყოველთვის მომღიმარი და მომცინარი, თითქოს მისთვის სხვათა ჭირი ღობეს ჩხირიო. მაგრამ ჯამალას უფრო ის აღიმებს, რომ ასეთს არაჩვეულებრივ ყრილობასთან აქვს საქმე, რომლის მსგავსიც არასდროს არ უნახავს და არსად არ დასწრებია, თუმცა უკვე კარგა ხანია რაც უკვე მამასახლისად არის.

— ხალხნო და ჯამაათნო, ხომ იცით რისთვისაც ვართ აქ შეყრილნი, ჩვენი სოფელი ამოვარდნის გზაზედა სდგას, აი აქ შეყრილთ ოჯახის კერა გაცივებული აქვთ, უდედაკაცო ოჯახი არ გამოდგების, ჩვენ სოფელში კიდონ დედაკაცები აღარ მოიძებნების ბევრი ახალგაზდა ბიჭები გვყავს დასაქორწინებელი, მაგრამ ჩვენს მახლობელ სოფლებში, ჩვენ მუსლიმან ინგილოებშიც თითქმის მეტ-ნაკლებობით ესევე გასაჭირია, თუმცა ჩვენი სოფელი უკვე ყველა სოფელზედ უფრო დიდს გაჭირვებაშია. რა ვქნათ, რა ვიღონოთ, მე წინადაც მითქვამს და ეხლაც ვამბობ, რას იზამთ, თათრის ქალები მოვიყვანოთ, ნუხის მაზრიდამ და ელდარიდამ კიდევაც იხვეწებიან და ცნგრე დიდს სამამასო ფულს*) არა თხოულობენ. ხუთი-ექვსი თუმანი არ დაგვეჭირდება და სულ ერთიანად კი ქორწილის ამბავს ათი-თორმეტ თუმნად მორჩება ადამიანი. სხვა გზა არა გვაქვს, ნუ იუკადრისებთ თათრის ქალებს, კარგია ჩვენვე გვყავდეს, მაგრამ რასიზამთ 300 400 მანეთი სამისო ფულიც რომ დახარჯოთ, მაინც საშოვარათ გასაჭირია და აბა რა ვქნათ. რაღაც გიჭირდეს ისე გიღირდესო ნათქვამია.

არა ჯამალა მაგას ნუ ვიზამთ, თათრის ქალებს ნუ შემოუშვებთ ჩვენს სოფელში, დაიწყო მთლად გათეთრებულმა-გაჭაღარავებულმა ალი იუზაშიმ, რომელიც პატივცემულ კაცად ითვლებოდა მთელს სოფელში და რომლის სიტყვას დიდი ხმა და პატივი ჰქონდა ხალხში მისნინეთ, გაიმეორა კიდევ ალითუზბაშიმ, თათრის ქალი ჩვენს სოფელში არ გამოდგების. ყველაზედ უფრო დიდი ნაკლი თათრის ქალისა ის არის, რომ იმათ ჩვენებური ინგილური ენა არ იციან, ჩვენ ბახლებს**) საით ასწავლიან ინგილურს? თათრის ქალებით, რომ ავავსოთ სოფელი ისა სჯობია გავსწყდეთ, რადგან ჩვენ სოფელში ინგილური ენა გაქრების და ამოვარდება. გარდა ამისა თათრის ქალებმა ჩვენ ადათი არ იციან, ჩვენ ჩვეულება, ჩვენი

*) გომგა სალაპრო ადგილია. ამასთანა ადგილებში განიერი სკამები არის ხოლმე ჩარიგებული ნავაზისათვის.

*) საინგილოში ჩვეულება არის, რომ სიძემ უნდა ფული მისცეს ქალის მამას და ისე წაიყვანოს საცოლე.

**) ბახლებს საინგილოში ბავშვებს ეძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი წერილებით „სამინისტრო უთითებს ტეხნიკურ განათლების აუცილებლათ განვითარების გზისკენ დაყენების შესახებ. ვინაიდან დღევანდელმა მდგომარეობამ ომის ზედგავლენით, წამოაყენა სულ ახალი მოთხოვნილება, ფრიად განვითარების გზაზე დაყენებისა, უბრალო მუშიდან დაწყებული ვიდრე ინჟინრამდის. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ტეხნიკური ცოდნის უაღრესათ განვითარება. სამინისტრო საჭიროთ სთვლის, რომ ახალ ტეხნიკურ შკოლას საფუძვლათ დაედვას ყოველმხრივი საერთო განათლება.

მომავალმა ტეხნიკურმა შკოლამ უნდა საერთო ყურადღება მიაქციოს მხოლოდ იმ მიზნისაკენ, რომ ასეთ შკოლას შეეძლოს მისცეს მოსწავლე ახალგაზრდობას მხოლოდ და მხოლოდ ტეხნიკური ცოდნა. პროექტი შემუშავებულია ტეხნიკურ განათლების მისაღებათ, უბრალო მუშებისათვის, უფრო მუშებისთვის ხოლო ნებისათვის და ინჟინერისთვის.

მუშებისათვის, რომელნიც დაქირავებულნი არიან სამრეწველოში, არსდება.

1) მეჯილობა, კითხვა და ლექციები.

2) დროებითი კურსები. 3) სამუდამო კურსები.

კურსებზე შემსვლელ მოსწავლეთა წლოვანების მინიმუმი 15 წელიწადია. კურსებთან ერთად მოზრდილ მუშათათვის დაარსებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული ტეხნიკური სასწავლებლები და აგრეთვე იმ ბავშთათვის, რომელთაც გათავებული აქვთ პირველ-დაწყებითი სასწავლებლები. ასეთ შკოლებში შესვლა შეუძლიათ 11 წლის ყმაწვილებს.

შემდეგი ტიპი—კურსებისა უფროს მუშათათვის. ასეთ შკოლებში შესვლა შეეძლებათ ისეთ პირებს, ვისაც გათავებული აქვს შკოლა ან კურსი მუშათათვის. შემდეგ უნდა დაარსებულ იქნას სახელოსნო სასწავლებლები, ისეთ პირებთათვის, რომელნიც დამოუკიდებლათ თვალ-ყურს ადევნებენ სამრეწველო მოქმედების საქმიანობას. შემდეგ აუცილებლათ მიაჩნიათ შექმნან სასწავლებელი, რომელსაც შეეძლება მომზადება მისცეს მუშაობის ხელმძღვანელობის ხარისხზე, ევროპულ ტეხნიკებს. ამ მიზნით სამინისტროს აზრათ აქვს ორი ტიპის სასწავლებელი: ტეხნიკური სასწავლებლები, ტეხნიკუმები. ამ სასწავლებელთა კურსები გავლილი იქნებიან 4 წლის განმავლობაში.

შექმნა კარგათ მომზადებულ სახელმწიფოს კონტიგენტების და სასწავლებლების გამგეთა შეტანილ იქნა შემდეგი პროექტი: 1) მოწყობა სპეციალურ კურსებისა უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებთან ერთად. 2) აუცილებლობა განსაკუთრებული გამოცდებისა იმ პირთათვის, რომელთაც სურთ პედაგოგების ხარისხის მიღება.

ასეთ პირობების საზღვარ გარეთ ან და თვით რუსეთის რომელიმე კუთხეში გაგზავნა, რომ შეეძლება მიეცეთ პრაქტიკულათ გაეცნონ ადგილობრივათ და მიიღონ პრაქტიკული ცოდნები.

პროექტი აგრეთვე ეხება შკოლის გარეთ ტეხნიკურ განათლების მიღებას: ლექციის კითხვით, გამოფენებით, კონკურსებით, მუზეუმებით და სამკითხველოებით, რომელნიც აუცილებლათ ხელს შეუწყობენ ტეხნიკურ ცოდნის განვითარებას და გავრცელებას.

დასრულ პროექტში მოხსენებულია: იმ პირთ რომელნიც დაასრულებენ ტეხნიკურ სასწავლებლებს, განთავისუფლებულ იქნებიან სამხედრო ბეგარის მოსახდელათ გაწვევისაგან. მინისტრის თავმჯდომარეობით დაარსებულ იქნას, პროფესიონალური საბჭო; რომლის შემადგენლობაშიაც შევლენ: მე სახელმწიფო საბჭოს წევრი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი და პეტროგრადის საკანონმდებლო პალატის თავმჯდომარეობით, და სამინისტრომოქმედი მმართველობის წარმომადგენელნი, სავაჭრო და სახელოსნო საზოგადოებების და სამრეწველო საზოგადოებათა ორგანიზაციის წარმომადგენელნი. „შ. ვ.“

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

ქუთაისის ზინგერის საკერავი მანქანა მთავრობის განკარგულებით უკვე გაიხსნა მთელი მოგება გადაიდება წითელი ჯვრის სასარგებლოთ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ უკვე მიიღო ხაზინიდან 18,000 მ. სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების დასარიგებლათ. დარიგებას ქალაქის გამგეობა ხვალვე შეუდგება.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა დეპეშით აცნობა სოხუმის ქალაქის თავს, რომ ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა, ალეჩრა რომ უფასოთ დაეთმობოდა ქალაქს 20 დესეტინა მიწა სამკურნალო მცენარეულობის მოსაშენებლათ—ქუთაისის გუბერნატორმა დააკმაყოფილა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ შუამდგომლობა ქვატაბის აგარაკის სახელმწიფო ტყის, ქალაქის საჭიროებისათვის მოსაჭრელათ, სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ არ დააკმაყოფილა, რადგანაც ამით ამ აგარაკს მოსპობა მოელის.

✦ დღეს, დილის 11 საათზე, ბალახვანის „შოთა რუსთაველის“ სახელობის წიგნ საცავ-სამკითხველოს დარბაზში მოხდება ამავე სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება სხვა და სხვა საჭირო საკითხის გასარჩევათ.

✦ ორშაბათს, 30 ნოემბერს, ქალ. თვითმართველობის დარბაზში მოხდება სამეურნეო და სანოვაგის მომწყობი შეერთებული კრება. ასეთი კრებები გუბერნატორის განკარგულებით მოხდება ორ კვირაში ერთხელ, ნაცვლათ ერთ კვირას.

✦ ქუთაისის ქალაქის თავისუფალ სანიტარულ კომიტეტში შედიან შემდეგი პირნი. ი. განელინი, ე. ცქიტიშვილი, დ. კლდიაშვილი, გ. იოსელიანი, დ. მაჭავარიანი, ი. ჭილაძე, თ. ბერაძე, ა. კოჩნოვი, ი. ხიტარიშვილი, ნ. ღოლობერიძე, ი. ოსიპოვი და ვ. კახიანი. ამათი მოვალეობა არის პოლიციელს დახმარება აღმოუჩინონ სიბინძურის წინააღმდეგ ომის შედეგნაში.

✦ ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართა კ. ფოცხვერაშვილის სასულიერო კონცერტი. კონცერტს დაესწრო ყ-დ სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი და ადგილობრივი ქართველ კათოლიკეთა ღვდლები. თეატრი საზოგადოებით გაჭედილი იყო კონცერტმა საზოგადოებაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

✦ ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში მოხდა ქარ. შ. წ. კ. გამ. საზ. ქუთაისის განყოფილების გამგეობის კრება, რომელზედაც შეიმუშავეს რეზოლიუციები, და წარუდგინეს წერა კითხვის ყველა განყოფილების წარმომადგენელთა კრებას.

✦ დღეს 12 საათზე ქუთაისის ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდება ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საზოგადო კრება.

✦ დღეს, 4 საათზე შავი ქვის საბჭოს დარბაზში მოხდება ქუთაისის გუბერნიაში არსებული ქარ. შ. წ. კ. გამ. საზოგ. განყოფილებათა საზოგადო კრება.

✦ ქუთაისის საგუბერნიო საერობო ორგანიზაციის სამეურნეო საქმეების მოსაგვარებლათ ხუთი სარაიონო პუნკტის შესანახავათ ეძლევა წლიურათ 25,000 მ. თითო სარაიონო შენახვა ჯდება ხუთი ათასი მანეთი.

✦ ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ქალაქის სასწავლებლების ყველა მმართველს საჩქაროთ წარმოადგინონ მოწაფეთა რიცხვი და 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვა.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ქალაქის გამგეობის სარევიზიო კომისიის წევრებათ ს. გ. ყუფიანი, ს. მ. ცაგარეიშვილი, გ. ბაღრიძე, ლ. ჩიჩუაძე და მ. ზვიადაძე.

სოფლად

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ს. ნიგოითის (ოზურგეთის მაზრა) მცხოვრებთ გახსნან მომხმარებელი საზოგადოება „სამუალება“.

— ს. ვანის (ქუთ. მაზრ.) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ დაარსონ მომხმარებელი საზოგადოება „რერაგი“.

— ქუთაისის გუბერნატორმა უკვე ნება დართო გახსნან მომხმარებელი საზოგადოებები შემდეგ სოფლებში: ს. თერჯოლაში (შორ. მაზრ.)—„თერჯოლის მომხ. საზოგადოება“.

— ს. დერჩელის საზოგადოებაში (ზუგ. მაზ.)—„სიმართლე“ ამავე მაზრის ს. კოკის მცხოვ. „შეერთება“.

— ს. ლესის მცხ. (ოზ. მაზ). „იმედი“ ს. ილორის (სოხ. ოლ.) მცხოვ.—„ურთიერთ დახმარება“.

და ს. ოკუმის მცხოვრები—„წარმატება“.

მომავალი კრება,

27 დან—31 დეკემბრამდე რეალურ სასწავლებლის შენობაში შესდგება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლების ინსპექტორების კრება.

კრებაზე გარჩეული იქნება შემდეგი საკითხები:

1) სღვთო სჯულის სწავლის დაყენება უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებლებში. ამის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ყვირილის უმაღლესს პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორი ადამია.

2) რუსული ენა და წერითი ვარჯიშობა ამ საგანში.

(მოხსენება ბაზვის პირველ უმაღლესს დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორის ვასილიევისა. ქუთაისის პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს აზრი რუსული ენის გადაცემის შესახებ).

3) როგორ მოაწყონ მატემატიკის ზეპირი გადაცემა და წერითი ვარჯიშობა. (მოხსენება კულაშის პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის ინსპექტორის ჯაყელისა). ქიათურის პირ. დაწყებითი უმაღ. სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს აზრი მატემატიკის გადაცემის შესახებ. პირ. დაწყებ. უმ. სასწავლებლებში.)

4) ბუნების მეტყველების სწავლა. მოხსენება ლანჩხუთის პირ. დაწ. უმაღლესს სასწავლებლის ინსპექტორისა

5) კვირეულ გაკვეთილების რაოდენობის. შეცვლის სურვილი.

(მოხსენება ჭიათურის პირველ დაწყებითი უმ სასწავლებლის ინსპექტორის [illegible]).

6) სასწავლებლის გარშემო კითხვა.

(მოხსენება ონის პირ. დაწყებითი უმ. სასწავლებლის ინსპექტორის მერლეოვსკისა).

7) მუშაობის დაწყება პირ. დაწყებით უმ. სასწავლებლებში.

(მოხსენებები ამ საკითხის შესახებ: ხოტრელის პირ დაწ. უმ. სასწავლებლის ინსპექტორის მონცისა და სამტრედიის პირველ დაწყებითი უმ. სასწავლებლის ინსპექტორის პაპოვისა).

8) ესთეტიური აღზრდა.

(მარსენგრა ბათუმის პირ. დაწყებითი უმ. სასწავლებლის ინსპექტორს ბელსკისა)

9) პირ. დაწყებითი უმ. სასწავლებლების მნიშვნელობა.

(მოხსენება ბ. ბელსკისა).

10) ახალი ენები და მათი მდგომარეობა პირ. დაწყებითით უმ. სასწავლებლებში.

11. ორივე სქესისათვის სწავლის შემოღება უმაღლეს სასწავლებლებში.

12 დამატებითი კურსები პირ. დაწ. უმ.. სასწავლებლებთან.

(მოხსენება მარტვილის პირ. დაწ. უმ. სასწავლებლის ინსპექტორი ლაზარაგასი.

13) ექსკურსიების მოწყობა.

14) როგორც შეეხება სამეურნეო და სწავლა-აღზრდის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგება.

15) სიები უნდა გაეცნოს ოლქის ყველა გამოცემას დაწყებული 1908 წლიდან.

კრებაზე ნება აქვთ დაესწრონ პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებლებს.

თბილისი.

— დახმარება ქართველ დატყვევებულ მეომრებს. ავსტრია-გერმანიაში მყოფი ტყვეთ წაყვანილი ქართველი ჯარის კაცები, იქიდან მოსულ ცნობებით თურმე ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ ქართ. საქვ. საზ. გამგეობამ გადასწყვიტა აღმოუჩინოს მათ ნივთიერი დახმარება მითივე ძმობლებისა და ნათესავების საშუალებით.

— ქართული საქველმოქმედო საზოგადოება. საზოგადოების გამგეობამ 26 გიორგობისთვეს დაადგინა: 1) ტატიანას სახელობის კომიტეტის მიერ ერთდროულად შემოწირულ 16000 მან., ხოლო ყოველ თვიურად 8000 მ. აჭარაში გახსნას 4 სკოლა, წინამძღვარათ კარის სკოლა

ჩაცმა-დახურვა სხვა არის და იმათი სხვა. ჩვენ ქალის სვინდისი და ნამუსი სხვა არის და თათრის ქალის კიდევ სხვა. ჯამაათნო ნუ, ინდომებ სოფლის წახდომას და უიმისოდაც ამოვარდნილს სოფელს ნუ გაატიალებთ. გავგზავნოთ კაცები საქართველოსაკენ, სიღნაღისაკენ, თუშეთისაკენ, იქით ვიკითხოთ ქალები, ჩვენში ბევრი კარგი ოჯახია მოგვცემენ ქალებს. თათრის ქალს კი სოფელში ნუ შამოუშვებთ, ჩვენი გვერჩივნოს სხვისას.

— ბაშუსტა, სთქვა მამასახლისმა და თან ჩაიცინა, მაგრამ ქიზიყელები და თუშები ჩვენ ქალებს არ მოგვათხოვებენ, ჩვენ ეხლა თათრებსა და ლეკებს გვეძახიან და ქალებს მოგვათხოვებენ?

ამ დროს ყავარჯენზედ დაბჯენილი 80 წლის სულეიმანი, რომელიც აქნობამდის სიჩუმით იდგა და გულმოდგინებით უგდებდა ყურს ყოველივე ნათქვამს და სახეზედ რაღაც უსიამოვნობა ეხატებოდა, წინ წამოვიდა, ყავარჯენი მოიმარჯვა და ჩიფჩიფითა და ხმის კანკალით წამოიძახა ბრაზმორეულმა;

— ჯამალავ შენ რათ რევ სოფელსა, შენი თავი მამასახლისათ აგვირჩევნია სოფელში, შენ უნდა პატრონობდე და კეთილს გზაზედ აყენებდე სოფელს და არა წარმართზედ გვებნები სიღნაღით ქალებს არ მოგვცემენო, რათ აუნდა მოგვცენ, თუ ძველად ძმობა გვქონდა, ქალებსაც ვათხოვებდით, მისვლა-მოსვლა გვქონდა, სიღნაღი ჩვენ ინგილო სოფლებს გვპატრონობდა, ეხლა რაღა არის? სარწმუნოებით უცხონი ვართ მართალია, მაგრამ სხვაფრივ ხომ ერთნი ვართ, ძმანი-ერთის მიწა წყლის ხალხნი, ერთის ენით მოლაპარაკენი; ერთის ჩვეულების, ერთის ადათების მექონენი. წინად ცოტა იყო ქართველს მუსულმანისათვის მიეცა ქალი, ან კიდევ მუსულმანს ქრისტიანისათვის მიეთხოვებია. ეხლაც ნუ გვეტებთ ამ ჩვეულებას, გავგზავნოთ კაცები, გავიგოთ მაინც რას გვეტყვიან. ქიზიყის სოფლებში ქალები ძალზედ მრავალია და მე მგონია უარს არ გვეტყვიან და ან რათ უნდა გვითხრან უარი, ისინი უფრო ჩვენი სისხლხორცნი არ არიან, ვიდრე სადღაც გადალუპული თათრები, რომელთაც არც ჩვენი ენა ესმით და არც ჩვენი თანაგრძნობა შეუძლიათ.

— სულეიმან, ნუ თუ ვერ გაგიგია აქამდის, დაიწყო კიდევ ჯამალიამ, რომ ჩვენსა და ქართველებს შორის, გარდუვალი კედელია აშენებული, ამ კედლის გადასვლა შეუძლებელია. სარწმუნოებამ დაგვაშორა ერთმანეთს, ქრისტიანი მუსულმანს ქალს არ მისცემს, გინდა იგი ქართველიც იყვეს. ის რაც ყოფილა ძველად ეხლა აღარ არის.

— არ მოგვცემენ, არ მოგვცემენ, აყვირდნენ ახალგაზრდანი, ისინი ეხლა თათრებს გვეძახიან.

— კეთილი, სთქვა ისევ მამასახლისმა. თანახმა ვარ. გავგზავნოთ კაცები ქართველებთან, მაგრამ წინდაწინვე გეტყვი, რომ სარწმუნოებასთან ერთად ყველაფერს ქართულს ბოლო მოუღეთ ჩვენში სადღა არის ძველი ადათები, სადღა გვაქვს ძველი ვენახები, რომლითაც შემკული იყო მთელი ჩვენი სოფელი და ღვინით სავსენი გვქონდა ქვევრები. ქართველი მოყვარე, მოგვივიდეს რიღათი უნდა გაუმასპინძლდეთ. ვენახები გავჩეხეთ, ქვევრები ამოვყარეთ მიწიდამ, ზოგი გავყიდეთ, ზოგი კიდევ აქეთ-იქით მივფანტეთ.

ხალხი აირდაირია, ზოგი რას გაიძახდა, ზოგი რას, ყურთა სმენა აღარ იყო. ერთი რამ კი აშკარა ხდებოდა ამ არეულობაში სოლეიმანი და ალი იუზბაშის მომხრეები უფრო ბევრი იყვნენ და დაბეჯითებით მოითხოვდენ ქართველებმოყვრობას, თუ რამე ნაირად მოხერხდებოდა.

—სმენა იყვეს, გააწყვეტინა ბლისთვლოს ალი იუზბაშიმ, ძველი ანდაზა არის: „ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსაო“. ჩვენც ძველს გზას მივმართოთ ჩვენი სისხლხორცნი არიან ქართველები, ჯერ პირველად იმათ მივმართოთ და თუ ვერაფერს გავხდით, მაშინ სხვა ღონე ვიღონოთ. გავგზავნოთ ამორჩეული კაცები, შევუთვალოთ, რომ თუმცა მუსულმანები ვართ, მაგრამ ძმები ვართ თქვენი და ნუ გვიუკადრისებთქო. თუმცა მუსულმანთა ადათით მცირე მიზეზისა გამო კაცს შეუძლიან ცოლი მიატოვოს, მაგრამ ჩვენ პირობა დაუწეროთ, რომ თუ ვინიცობაა ცოლი გაუშვით, მაშინ ამდენი და ამდენი ფული ქალის სასარგებლოდ გადავიხადოთ. თანახმა ხართ თუ არა ამისი?

— თანახმა ვართ, თანახმა, ერთხმად იგრიალეს ყველამ?

— თუ თანახმა ხართ, სიტყვა ჩამოართვა ალი იუზბაშის ჯამულამ, მაშინ კაცები ამოვარჩიოთ და უპირველეს ყოვლისა აი ალაზანს გაღმა ახალი სოფლები რომ არიან თუშებისა, იმათთან გავაზავნოთ. ეგენი უფრო ახლოს არიან ჩვენზედ, მეზობლათა ვართ და თუ მითხოვეთ, ეგენი უფრო მოგვათხოვებენ ქალებსა. დაასახელეთ ვინ გავგზავნოთ?

— ალი იუზბაში, ჰაჯიბეგა, და ძახეს აქეთ იქიდამ. ალი იუზბაშისთვის სულ ერთია, თავის ბიჭისთვის ქალი ჰყავს სათხოვნელი, ჯერ მაგან სცადოს, მიათხოვებენ თუ არა მაგის ვაჟს და შემდეგ სხვებიც მივყვებით მაგის კვალს.

— თეთპირი დიდხანს არ გაგრძელებულა, ალია და ჰაჯიბეგა დასთანხმდენ წასვლაზედ.

* * *

ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდენ უკანვე ალი იუზბაში და ჰაჯიბეგა, ორივე დაღვრემილი, სახე მოქუშული, მოწყენილი და გულ ჩამკვდარი. სადაც კი მივიდა ალი იუზბაში ყველგან უარი მიიღო.

— თათრებს, ლეკებს ქალებს არ მივცემთო, ხომ არ გაგვიგიჟებულხართ, გადასაყრელი ქალები ვისა გვყავსო.

ერთი და იგივე პასუხი ესმოდა ყველგან და ყველასაგან ალიას. ბევრს ეცადა ალია დაერწმუნებინა, რომ ისინი ისეთივე ქართველები არიან, როგორც დანარჩენნი და სარწმუნოებამ ისე არ უნდა გაგვყაროს და დაგვაშოროს ერთმანეთს ძმებო, მაგრამ ამაოს იყო ყოველივე ეს. ერთგან კინაღამ სცემეს ალიას.

— ეგ რაღაც ალია მოთრეულია, ამბობდნენ სოფლელები, სახეიროდ არ მოსულა ეგ ლეკი, ქალებს ათვალიერებს და როგორც წინად გვტაცებდნენ ხოლმე ლეკები, ეხლა ეგეც ღამით ქურდულად მოასხამს ლეკებს და დაგვტაცებენ ქალებს.

დიდის ხნის ნაცნობებიც კი, რომელნიც არა ერთხელ ყოფილან ალიასთან და კარგად იცოდნენ მისი შეძლება და სტუმართ მოყვარეობა უარი უთხრეს თავიანთ ქალის მოთხოვებაზე მის შვილზედ, თუმცა ალია ჰპირდებოდა, ხელწერილს მოგცემთ თუ ქალს ცუდათ მოვექცევით ჩვენ და უმიზეზოთ გავაგდებთ ქალის სასარგებლოთ დიდს ფულს გადავიხდითო.

ამათო ჩაიარა ალიას მოგზაურობამ და გულ ხელდაკრეფილი მოვიდა სახლში. ელვასავით მოედო ეს ამბავი სოფელს. ბევრსა სჯეროდა, რომ ალიას ბევრი ნაცნობები ჰყავდა და შერთული ძველი მონათესავენი ქართველებში, გავლენა და პატივიც დიდი ჰქონდა ყველგან და ეს იმისი საბუთი იყო რომ დანაპირები უსრულდებოდათ.

დიდ ხანს არ გაუვლია. ჩქარა ნუხის მაზრიდან ორი ურემი ჯანდაკ და მახინჯ თათრის ქალებით სავსე, რომელთაც ადგილობრივ მთხოვნელი არა ჰყავდათ მოლათი და მამებ ნათესავებრივ მოადგნენ სოფელს მამასახლის ჯამალის მეცადინეობით. ჩქარა მთელს სოფელში გაჩაღებული ქორწილები იყო და ზურნა-დაფის ხმა იქაურობას ურიგებდა. სოფელი მადლიერი იყო ამისიც, რომ თუმცა ჯანდაკი და მოძულებული დედაკაცები მოიყვანა ჯამალმა, მაგრამ პირიქით სახლის მომვლელები მაინც იშოვნეს და მეორეც გზა გაუხსნათ შემდეგისათვის იქიდგან უფრო უკეთესების მოყვანისა.

ბერი კაცი ალი იუზბაში და სულეიმანი კი გულჩათუთქულები და დაღვრემილები მისცქეროდნენ სოფლის მხიარულებას და გული უგრძნობდათ რომ სასიკეთო არაფერი მოელოდა სოფელს.

— ეს სიკვდილია ჩვენთვის და თათრების გამრავლება გულამოსკვნით ამბობდა ცხოვრებაში ღრმათ ჩახედული და გონიერი ალი იუზბაში.

— ეჰ, გადაიკარგულდება დღეის უკან ჩვენი სოფელი. მარტო სარწმუნოებით კი არა, არამედ ენით, ზნით, ჩვეულებით ისევე როგორც ზოგიერთი სხვა სოფელი, სთქვა ხელი გაქნევით მოხუცმა სულეიმანმაც და უიმედოთ მიაშტერა მიმქრალი თვალები სოფელს, რომლიდგანაც ზურნა დაფისა და მხიარულების ხმა შორს ისმოდა. **ზ. ედილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ტიპისა, მაგრამ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული. ეს სკოლები გაიხსნება ზემო აჭარას, ქვემო აჭარას, იმერხევს და შავშეთში. ამ 4 ძირითად სკოლას უნდა ჰქონდეს თავისი განყოფილებები პირველ დაწყებითი წერა-კითხვის სკოლის სახისა. 2) გაიხსნას კინტრიშა, ხულუბანსა, მუხაესტატესა და სხ. გადმოხვეწილთათვის პრაქტიკული სკოლები, სადაც უნდა ასწავლიდენ დურგლობას, მეფუტკრეობას, ბაღოსნობა-მებოსტნეობას და სხ. 3) ი. გოგებაშვილის პირველ და მეორე ნაწილის „დედა-ენის" გადასინჯვა და საჭირო ცვლილების შეტანა მიენდოს ლ. ბოცვაძეს და ვ. ბურჯანაძეს. პირველი ნაწილი ხსენებული სახელმძღვანელოსი უნდა დაიბეჭდოს 2 კვირის განმავლობაში 600 ცალი, ხოლო მეორე ნაწილი-კი ორი თვის განმავლობაში 3000 ცალი. 4) როგორც ძირითად სკოლების დაწვრილებითი გეგმის შესადგენად, აგრეთვე პრაქტიკულ სკოლებში სწავლის დაყენების შესახებ ყოველგვარ საკითხის შესამუშავებლად მოწვეულ იქნან გამგეობაში ბ-ნნი: კ. მ. ამირეჯიბი, ს. მ. ჩოლოყაშვილი. ვ. ი. რცხილაძე, ერ. ნაკაშიძე, პ. მელია, აპ. წულაძე.

მისალოცი დეპეშა

ქართლ-კახეთის თავად—აზნაურთა მარშალმა თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი დეპეში გაუგზავნა მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტს პიტირიმს:

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება მიწვევა თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა უმაღლეს იერარქის თანამდებობაზე—პეტროგრადისა და ლადოგის მიტროპოლიტად. მონარქის თქვენდამი ასეთ კეთილგანწყობილებაში ქართველი სამწყსო ჰხედავს, რომ მისს იმპერატორებითი უდიდებულესობას უმაღლესად მოუწონებია თქვენი კურთხეული ღვაწლი ივერიის ეკლესიის საუკუნოებითი ჭრილობათა განსაკურნებლად. ალტაცებით და სიხარულით გილოცავთ-რა, მეუფეო, ახალ თანამდებობას, ჩვენ, თქვენი სამწყსო, დიდი იმედითა ვართ გამსჭვალულნი, რომ თქვენის მეცადინეობით ძლიერული საქმე საქართველოს ეკლესიის მოწესრიგების შესახებ სავსებით განხორციელდება თქვენის უმაღლესის მფარველობით. ჭეშმარიტად გვწამს, რომ ღვთისმშობლის ტანჯულ ხვედრისადმი თქვენს სიყვარულს არ შეასუსტებს სიშორე და კვლავაც იზრუნებთ ქართველ ხალხის სულიერ-სარწმუნოებრივ აღორძინებაზე, რაიცა დაწყებულ იქნა თქვენის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის მარჯვენის ლოცვა-კურთხევით. (ს.)

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. საღამოს ოფიციალური ცნობა. დღეს წყნარადჩაიარა. არტუაში ლოოსისა და ჟივანშის მიდამოებში, სომმისა და უაზს შუა ფუნეკურის მიდამოებში ზარბაზნის სროლა იყო. შამპანში ფრანგები მოპირდაპირის სროლაზე სროლითვე უპასუხებდნენ. სუენის კორდის აღმოსავლეთით წინ იწვევენ ფრანგები. მტრის მფრინავს 300 ადლის სიმაღლეზე ფრანგი მფრინავი დაედევნა, 20 ადლის მანძილზე მიუახლოვდა და ტყვიისმფრქვეველი დაუშინა, მოპირდაპირის საფრენს ცეცხლი მოედო, ორი მფრინავი ტიოლელუასთან ფრანგების ჯარის წინ ჩამოვარდა.

პარიზი. ადმირალი რუსინი გუშინ საღამოს 8 ოფიცრის თანხლებით მოვიდა.

პარიზი. „მატენის" ცნობით, ჟოფრი თვითონ აირჩევს თანაშემწეს საფრანგეთის ასპარეზისთვის.

საფრანგეთის ასპარეზი.

პარიზი. დღის ოფიციალური ცნობა. ბელგეთში ტყვიისმფრქვეველთა სროლით გერმანელებს ხელი შეუშალეს მეტზესის მიდამოებში დანგრეული სიმაგრეების აღდგენაში. არრასის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით, „140" სიმაღლესთან გერმანელების იერიში შეაჩერეს. იქ გერმანელებმა სანგარი ნაღმით ააფეთქეს. რუას მიდამოებში გუშინ სენტ-ორენის წისქვილი ფრანგებმა დაანგრიეს. შამპანში ფრანგები წინ იწევდნენ სენტ სუპლეს ჩრდილოეთით, ხელის ყუმბარების სროლით. სუენის კორდის აღმოსავლეთით გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ ფრანგებმა მოიგერიეს. მოპირდაპირის მიერ აგებულ ადგილის დასაბრუნებლად ბრძოლა გრძელდება.

ბალკანეთში.

პარიზი. 23 გიორგობისთვე. დემირკაფუან (ვარდარზე) ბულგარელებმა მედგარი იერიში მიიტანეს ფრანგების ჯარზე, მაგრამ მოიგერიეს. 23 გიორგობისთვეს სიწყნარე იყო.

ათინა. ვალანდოვო-სტრუმიცას მიდამოში ბრძოლა მოკავშირეთა სასარგებლოთ გათავდა. ფრანგ-ინგლისელთა ზარბაზნებმა მოხსნეს ბულგარელნი, რომელთა ზარალიც დიდია. ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ მაიუ და სიკოლი. საღამოთი ბულგარელებმა მაშველი ჯარი მიიღეს და თავგანწირვით შეუტიეს მოპირდაპირეს დე მარკაფუს მიდამოებში. ბულგარელების მიზანია ჩიმლის ხაზის გარღვევა და სტრუმიცას სადგურის დაჭერა. ბულგარელებმა სერბიელების დევნას თავი დაანებეს და აქ აჩერებენ უმთავრეს ძალას. ბრძოლა გრძელდება.

იანინიდან იტყობინებიან: 600 მოწაფე სამხედრო სკოლისა და რამდენიმე დაჭრილი სერბიელი ოფიცერი კორიცაში გაიქცენ.

იტალიის ასპარეზი.

რომი. მთავარ შტაბის ცნობა. მოპირდაპირემ მთელ საომარ ხაზზე ზარბაზნების სროლა გააძლიერა. იტალიელნი მარჯვედ ებრძოდენ. მტერი ცრემლის გამომწვევ გაზებს ხშირად მიჰმართავს ხოლმე. პრედოლინისა და ლენდროს ჩრდილოეთით მოპირდაპირის ქვეითა ჯარმა, ძლიერი ზარბაზნების სროლის შემდეგ, იერიში მიიტანა პასცოს აღმოსავლეთით ტერონალოს ველში, მაგრამ მოიგერიეს. კარსოში იტალიელები მტერს უტევენ, თუმცა ამინდი ხელს არ უწყობს. სანმიქელეს ჩრდილოეთ მიდამოებში, პენეანის აღმოსავლეთით იტალიელებმა აიღეს მტრის გამაგრებული სანგარი და ტყვედ წაიყვანეს 146 ავსტრიელი, ამათში 8 ოფიცერი. ხელთ იგდეს დიდძალი თოფი და სამხედრო სურსათ-სანოვაგე.

სპარსეთში.

თეირანი. (სწრაფი) ქამადანის მიმართულებით დაუმარცხებიათ და უკუუგდიათ 500 ცხენოსანი და ქვეითა ჟანდარმი, 1,200 გერმანელ-ოსმალთა მომხრე ორი ზარბაზნით და ტყვიის მფრქვეველებით შეიარაღებულნი. რუსნმა დაიჭირეს თვალსაჩინო ადგილი ქალაქ ავეს გარშემო.

თეირანი. ისფაჰანიდან ცნობები მოდის, ვითომც ბახტიარებსა და გერმანელების მომხრეთა შორის უთანხმოება მომხდარიყოს. ყუმის კომიტეტსა და აგრეთვე ოსმალეთის დესპანსა და პრინც რეისსის შორისაც განხეთქილება არისო. თუმცა სხვა და სხვა თემების ბელადები მზად არიან და დროს ელიან. მოპირდაპირენი ცდილობენ სპარსეთისა და რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკება შეაფერხონ და მთავრობა ყუმანში ამყოფონ.

ამერიკა და ავსტრიეთი.

ნიუ-იორკი. „ვენინგ-პოსტ"-ს ვაშინგტონიდან ატყობინებენ: ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობამ ავსტრიის გაუგზავნა ვენაში მოთხოვნილება, „ანკონის" დაღუპვის გამო: დღიდგან ხელი აიღე გემების დაღუპვაზე, გემის დამღუპველ წყალქვეშას უფროსი სამართალში მიეც დაღუპულთა ოჯახები ნივთიერად უზრუნველჰყავ და პირობა დასდე, რომ ასეთ საქმეს აღარ გაიმეორებო.

ავსტრო-უნგრეთში.

ვენა. ლანდშტურმის ჯარს, 1872, 1878, 1874 და 1896 წლებში დაბადებულთ 2 ქრისტეშობისთვეს გაიწვევენო.

სასულიერო მართვა გამგეობა ჩვენში.

I.

ისტორიაში ერის არსებობის ერთ უმთავრეს საფუძვლათ აღიარებულია ზნეობრივი პრინციპი. ერი, რომელიც ზნეობრივათ შეიბღალება, გადაშენების გზას ადგება. ამისი უტყუარი მაგალითია რომის იმპერია. მინამ ის ზნეობრივათ მაღლა იდგა, ისიც არსებობის მტკიცე საფუძველზე იყო. მაგრამ რა კი ზნეობრივათ გაიხრწნა, ისიცა დაიმხო, და რომაელი ერიც მოისპო. თუ კი ამ დიდებულ ერს ეს დღე დაადგა, რაღა უნდა მოელოდეს ისეთ პატარა, და ისიც სხვისა-მონობის ქვეშ მყოფ ერს, როგორც ქართველი ერია?! რასაკვირველია ასეთ მდგომარეობაში მყოფი ერის არსებობა მისი ზნეობრივი სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ამიტომაც მისი კეთილის მყოფი ის არის, ვინც ამ მარივ მას ხელს შეუწყობს და თავიდან ააცილებს ხელის შემშლელ მიზეზთა და გარემოებათ.

ფიცი, როგორც ძლიერი რწმენის ნაყოფი, მტკიცეთ იყო დაცული ჩვენში. ჩვენ ხალხს სწამდა ფიცი და კიდეც ეშინოდა მისი. ის არც თვითონ იფიცებდა და არც სხვას აფიცებდა და თუ კი ფიცს მიიღებდა, მას სიმართლეში ეჭვი არავის შეჰქონდა. ამიტომაც ჩვენმა სჯულის მდებელმა, მეფე ვახტანგ VI, ფიცი თავისი სჯულისდებაში შეიტანა, როგორც ერთი უდიდესი საშუალება სიმართლის ახსნისა. ჩვენი ხალხი დღესაც მიმართავს ხოლმე ვახტანგ მეფის კანონს და ეს კი მისთვის უკანასკნელი საშუალებაა სიმართლის ახსნისა. ამას საჩივლის ის, ვისაც სიმართლე სწყურია, ვისაც სიმართლე აინტერესებს. აი ასე ძვალ-რბილში ჰქონდა ჩვენს ხალხს გამჯდარი სიმართლის ძიება და ამ სიმართლის ფიცით მოპოვება. მაგრამ ეს გრძნობა, ეს რწმენა განამტკიცეს, გააღვივეს მასში? გაღვივებას ვინ დაეძებს, რომ არ ამოეფხვრათ და მის ამოფხვრას დღესაც ნებსით, თუ უნებლიეთ ხელს არ უწყობდეს თვით ის, ვინც ვალდებულია წინაღმდეგ ცდილობდეს.

ყველას კარგათ მოეხსენება, თუ როგორ, რა წესით სწარმოებს დღეს ჩვენში ეგრეთ წოდებული მეტრიკული გამოძიება. მთელი ეს პროცედურა დღეს დამყარებულია აშკარა სიცრუეზე. ამ გამოძიების დროს მოწმეების საშუალებით ადგენენ მეტრიკულ ცნობებს იმ პირის შესახებ, ვის გამო გამოძიება სწარმოებს. მოწმეებმა ერთ ხმათ უნდა აჩვენონ, რომ ხსენებული პირი ნამდვილათ ამა-და ამ კაცისა და ქალის სახელი, მამის სახელი და გვარით დედმამისა კანონიერი შვილია დაბადებისა და ნათვლის წელიწადის, თვისა და რიცხვის აღნიშვნით. ამასთანავე უნდა აჩვენონ, თუ ვინ იყვნენ, მიმრქმელებათ და ღვდელ მოქმედება ვინ შეასრულა (მათი სახელი, მამის სახელი და გვარი). რადგანაც ხშირათ ეს ცნობები თვით მშობლებსაც არ ახსოვთ, რა გასაკვირველია, რომ მოწმეებმა არ იციოდენ! ამ შემთხვევაში მეტი გზა არ არის უნდა სიცრუეს მიმართონ და წინ და წინ მოლაპარაკებულსა და დათქმულ ცნობებს აძლევენ ფიც ქვეშ და ამ გვარათ, ამ გზით სიცრუეს სიმართლეთ ასაღებენ ფიცის საბით ზოგი ხათრითა და ზოგიც ქანქარის წყალობით. ან კი რა ჰქნან, რომ სხვა გზა არა აქვთ საჭირო საბუთის შესადგენათ! მაშ რა ჰქნან, არ მოეხმარონ მეზობელს, მეგობარს, ნაცნობს გაჭირვებაში?! ესენიც „ეხმარებიან" და კიდეც ილებენ, როგორც თვითონ იტყვიან ხოლმე, „რუსულ ფიცს", რომელიც, მათი, აზრით, არა სჭრის, არ უწევს მათ, რადგანაც, მათი ფიქრით, ამით არავის ვნება არ აქვს.

სწორეთ ამავე გზით სწარმოებს მეორე უდიდესი საქმეც, განქორწინების საქმე, მრუშების ნიადაგზე, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ აქ მოწმე აძლევს ჩვენებას, როგორც თავისი თვალით ნახულ გარემოებას, ვინ არის ისეთი ნამუსზე ხელ აღებული, რომ იმ დროს მოწმე დაისწროს და აყურებოს?! ჯერ ჩვენი ხალხი იმ ზომამდის არ გარყვნილა, რომ თავისი ნამუსი საჯაროთ გაიღოს! მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ღლეს ფული "პატარა ღმერთიაო" იტყვიან და მისი სიყვარულით ამათაც იმას ათქმევინებენ, რაც მათ თვალით არ უნახავთ, რა კი მათ თქმას გასავალი აქვს მით უმეტეს, რომ „რუსული ფიცია". ყოველ კვირასა და თვეში არა ერთი და ორი ამ გვარი პროცესი იმართება ჩვენ თვალ წინ ამ გვარათ „რუსული ფიცი" ჩვენში თანდა თან ფეხს იკიდებს და ლამის ხელოვნათ გახდეს და სიმართლის აღსადგენათ საჭირო ერთი ზნეობრივი იარაღთაგანი დღითი-დღე ხელიდან გვეცლება. ამიტომ საჭიროა დროით ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და მოისპოს ეს წესი. თან ამასაც დაესძენთ, რომ თავისუფალი ეკლესია უფრო სხვა გვარათ მოაწყობს ამ საქმეს. **დე—ზი.**

ახალი ყორნები

თუ გიმოგზაურიათ ამ ხანად პროვინციებში, უეჭველია აქა—იქ შეხვედრიხართ სრულიად ჩვენთვის უცნობ პირებს. ევროპიულად მორთულნი, დარბაისლურად ყველაფერს აქებდებიან, ათვალიერებენ. შეატყობთ, რომ ისინი რაღაცას ეძებენ, სურთ ვისიმე ან რისიმე პოვნა, საქმის ხელში ჩაგდება.

მე კარგათ ვიცნობ მათ. ბევრი მათგანი პოლონეთიდან მობრძანდა; ბევრიც— შუაგულ რუსეთიდან.

ესენი კომერსანტები, კაპიტალისტები არიან, რომელთა ხელშია ფული და ძალა.

ომმა მათ საკუთარი საქმე შეუფერხა. მათ აღებმიცემობას ალაგობრი სარგებელი ან შეუმცირა, ან სრულიად მოუსპო.

ახალ-ახალ საქმეებს დაეძებენ და რახან თავიანთ სამშობლოში პირობები ხელს არ უწყობენ, ჩვენში მობრძანდენ.

კარგად იციან თუ რა არის კავკასია, რას წარმოადგენს საქართველო. დარწმუნებულნიც არიან, რომ მათ ძლევა-მოსილ კაპიტალს წინ ვერავინ ვერ აღუდგება.

ან კი, მართლაც, რა შეუშლით ხელს. ჩვენ არ გვყავს ბურჟუაზია. და თუ ორიოდე წარმომადგენელი მოგვეპოვება ისინიც უძლურნი და გაუნათლებელნი არიან.

არიან სომხები, მაგრამ რა გამოვიდა. კაპიტალი მათ ხელში მკვდარია, ჩარჩული. როგორც კომერსანტებთ არ ვარგანან. გაბედულობა და რისკი უცხოა მათთვის. დახლი და რკინის ყუთები,— აი მთელი მათი საკომერციო ამბიცია!

უცხოელთათვის კავკასია ხელუხლებელი განძია. მათ ვერ გაუგიათ ოქროს ქვეყანაში მცხოვრებლებს რომ კაპეიკები გვენატრება.

ჩვენი უბედურებაც სწორედ ეს არის, ვსოციალისტობთ, ვყაყანებთ და ყიყინისავეცემით თუ დემოკრატიაზე, თუ ეროვნულ კულტურაზედ და ამავე დროს სრულიად არ ვცდილობთ, შევქმნათ, გავაძლიეროთ და ხელი შევუწყოთ სწორედ იმ კლასს, ბურჟუაზიას,— რომელსაც სიმდიდრის შექმნასთან ერთად მოაქვს ეროვნულ კულტურის სიძლიერე და ეროვნული იდეის განმტკიცება.

ეს ახალ უცხოელნიც გვაწვევენ. ისინი სწრაფად გამრავლდებიან და ჩაიგდებენ ხელში აფარებულ სიმდიდრით მოსულ ადგილებს.

ჩვენ კი უმოქმედოთ ვუცქიროთ მათ თარეშს.

საჭიროა ნავსი გავტეხოთ, შევერთდეთ, ამხანაგობები დავაარსოთ, და რაც ვეეპოვება, იმ კაპიტალს თავი მოუყაროთ.

საჭიროა ჩვენში სააქციონერო საზოგადოება, არა ერთი,—რამოდენიმე მარტო ხელა ქართველი, მთელი თავის ქონებით მაინც ღარიბია, უძლურია. მას ერთსჩარ ძალუძს მსხვილ წარმოების შექმნა, რაიმე სერიოზულ საქმის გაკეთება.

რით ვერ შეიგნეს ქართველმა ვაჭრებმა ის, რასაც სოფელი კარგა ხანია მიხვდა და ალღო აუღო. იმ დროს, როდესაც ჩვენი გლეხ-კაცი ირაზმება, კოოპერატივებს და ბანკებს იარსებს, ქალაქის ქართველ ვაჭრები სილათას ძილს მისცემიან და დიპებს სომხურად ისივებენ მეტის-მეტი დახლში ჯდომით.

ნუ თუ არც ეხლა გაიქნევენ ხელებს?

(ს.) **ჯუანშერ.**

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— ღამის	—11 ს.	30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს.	5 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს.	38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს.	—
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს.	14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს.	20 წ.

„სორაპანის" გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად ქ ა რ თ უ ლ ი

კედლის კალენდარი 1916 წ.

შედგენილი გრ. ჩარკვიანისა და მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ჯიბის—სახალხო კალენდარი 1916 წლისა

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

ვისაც სურს „პარტიით" იყიდოს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: ტფილისი, ხტამბა „სორაპანი", მ. გაჩეჩილაძეს და ქ. ქუთაისში, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. 15—6

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.

რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში,** რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა"

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.